- ბასს 27-ის შესწორება სახელწოდებით „კაპიტალის მეთოდი ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში“ (გამოცემულია 2014 წლის აგვისტოში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აღადგენს კაპიტალის მეთოდს და აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, გამოიყენონ ეს მეთოდი შვილობილ კომპანიებში, საერთო მმართველობის ორგანიზაციებსა და ასოცირებულ ორგანიზაციებში ჩადებული ინვესტიციების აღსარიცხად მათ საკუთარ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 5-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე პროსპექტულად, იძლევა დამატებით მითითებებს იმ შემთხვევისთვის, როდესაც ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივის

რეკლასიფიკაცია მფლობელზე გასაცემად გამიზნულ აქტივად ან პირიქით. შესწორება ასევე იძლევა დამატებით მითითებებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აქტივის აღრიცხვის შეწყვეტა.

- ფასს 7-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა დამატებით მითითებებს იმის დასადგენად, კვლავ იღებს თუ არა მონაწილეობას მომსახურების კონტრაქტი გადაცემულ აქტივში.
- ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 28-ის შესწორებები სახელწოდები „საინვესტიციო ორგანიზაციები: კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენება“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს საინვესტიციო ორგანიზაციებისა და მათი სუბსიდიებისთვის კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენების წესებს. არ არის მოსალოდნელი, რომ ეს რაიმე გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანია ჯერ არ იყენებს შემდეგ დამატებებს ან ცვლილებებს, რომლების გამოცემულია IASB-ს მიერ, თუმცა 2017 წლის პირველი იანვრიდან დაწყებული ფინანსური წლისთვის ჯერ ძალაში არ არის.

მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ახლი სტანდარტების და შესწორებების გამოყენებას კომპანია დაიწყებს მათი ძალაში შესვლის დროს. კომპანიას, შესაბამისად, შეფასებული აქვს იმ ახალი სტანდარტებისა და შესწორებების პოტენციური გავლენა, რომლებიც ძალაში შევა მომავალ პერიოდებში.

- ბასს 7-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური აქტივობების შესახებ.
- ბასს 12-ის შესწორება (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს რეალური ღირებულებით აღრიცხულ სასესხო ინსტრუმენტთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აქტივის აღიარებას.
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემულია 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.
- ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.
- ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში

აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.
- ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.
- აღიარების შეწყვეტის რეზერვები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ბასს 39 სტანდარტიდან.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია გამოიყენებს IFRS 9-ს საკუთარ ანგარიშგებებში, როდესაც ეს გახდება სავალდებულო და რომ ახალი სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე. თუმცა, დეტალური გადახედვის დასრულებამდე არ არის პრაქტიკული განისაზღვროს აღნიშნული გავლენის გონივრული შეფასება.

- ფასს 16 „ლიზინგი“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია დაიწყებს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მაშინ, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ამ სტანდარტის გამოყენებას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის მიერ აღიარებული შემოსავლების რაოდენობაზე. თუმცა, დეტალური განხილვის ჩატარების გარეშე რთულია აღნიშნული ეფექტის განსაზღვრა.

5. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	კაპიტალიზაცია	სულ
ღირებულება							
01.იან.16	-	-	3 625	-	1 441	-	5 066
შეძენა	104 938	131 643	125 460	217 233	276 797	444 781	1 300 852
ჩამოწერა	-	-	(2 542)	-	(2 881)	-	(5 423)
31.დეკ.16	104 938	131 643	126 543	217 233	275 356	444 781	1 300 494
შეძენა	-	16 347	59 891	-	176 299	279 019	531 556
ჩამოწერა	-	-	(142 457)	(144 536)	(408 477)	(723 800)	(1 419 270)
31.დეკ.17	104 938	147 990	43 977	72 697	43 178	-	412 780
დაგროვილი ცვეთა							
01.იან.16	-	-	(547)	-	-	-	(547)
ცვეთა	(13 992)	(4 618)	(46 310)	(28 071)	(10 206)	(87 932)	(191 129)
ჩამოწერა	-	-	919	-	-	-	919
31.დეკ.16	(13 992)	(4 618)	(45 937)	(28 071)	(10 206)	(87 932)	(190 756)
ცვეთა	(20 988)	(29 611)	(123 091)	(36 215)	(32 195)	(166 793)	(408 893)
ჩამოწერა	-	188	154 083	41 266	26 348	254 724	476 609
31.დეკ.17	(34 979)	(34 041)	(14 946)	(23 021)	(16 053)	-	(123 040)
ნარჩენი ღირებულება							
01.იან.16	-	-	3 078	-	1 441	-	4 519
31.დეკ.16	90 946	127 025	80 606	189 162	265 150	356 849	1 109 738
31.დეკ.17	69 959	113 949	29 031	49 676	27 125	-	289 740

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.დეკ.17	31.დეკ.16	1.იან.2016
მასალები	250 382	1 891 024	-
საწვავი	316	2 040	-
სხვა მარაგები	-	14 968	56
სულ	250 699	1 908 031	56

თვითღირებულებაში ხარჯად აღიარებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის არის 250 699 ათასი ლარი (2016 წლის 31 დეკემბრისთვის 1 908 031 ათასი ლარი).

7. გადახდილი ავანსები

	31.დეკ.17	31.დეკ.16	1.იან.2016
წინასწარ გადახდილი გადასახადები	34 092	15 946 207	5 427 138
წინასწარ გადახდილი ხელფასები	-	1 026 648	1 024
სულ	34 092	16 972 855	5 428 163

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.დეკ.17	31.დეკ.16	1.იან.2016
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	272 777	8 900 883	787 537
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	1 000	11 018
სულ	272 777	8 901 883	798 555

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.დეკ.17	31.დეკ.16	1.იან.2016
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	153 954	1 179 841	3 044 253
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	93 684	1 135 730	-
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	59 230	40 813
სულ	247 638	2 374 801	3 085 066

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. კაპიტალი

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 2012 წლის 31 აგვისტოს საწესდებო კაპიტალის გარეშე.

თავ მშენებლობა საქართველოს 2016 და 2017 წელს დივიდენდი არ გამოუცხადებია.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.დეკ.17	31.დეკ.16	1.იან.2016
--	-----------	-----------	------------

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			252 785
	35 217	3 441 279	
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	26 639	-	8 972
სულ	61 856	3 441 279	261 757

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

12. გადასახდელი გადასახადები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	6 751	109 386	-
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	3 253 403	58 624
გადასახდელი დღგ	-	152 782	40 010
სულ	6 751	3 515 571	98 634

13. მიღებული ავანსები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
მიღებული ავანსები	1 167 247	5 823 227	8 609 886
სულ	1 167 247	5 823 227	8 609 886

14. შემოსავალი

	2017	2016
შემოსავალი მომსახურებიდან	46 675 764	81 493 680
შემოსავალი რეალიზაციიდან	13 756	16 398
სულ	46 689 520	81 510 078

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2017	2016
--	------	------

მომსახურების ღირებულება	36 357 105	57 260 339
მასალები	107 837	30 828
სულ	36 464 942	57 291 167

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ხელფასის ხარჯი	2 316 346	2 041 802
პერსონალის ხარჯი	440 490	344 856
ცვეთა	337 450	193 537
კომუნალური ხარჯი	332 590	220 560
მომსახურების ხარჯი	2 757	13 885
იჯარის ხარჯი	192 826	45 379
შეკეთების და შენახვის ხარჯი	97 870	82 012
ოფისის ხარჯი	90 919	71 557
საკონსულტაციო ხარჯი	245 589	165 853
დაზღვევის ხარჯი	31 156	64 778
დაცვის ხარჯი	13 126	-
მასალის ხარჯი	3 726	234
მარკეტინგული ხარჯი	1 521	10 375
ჯარიმის ხარჯი	(75 900)	(73 200)
სხვა ხარჯი	891 870	313 780
სულ	4 922 337	3 495 408

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის ხარჯი.

17. არასაოპერაციო შემოსავალი

	2017	2016
არასაოპერაციო შემოსავალი	429 439	272 398
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	99 122	-
შემოსავალი მომსახურებიდან	21 527	7 466
სულ	550 088	279 864

18. არასაოპერაციო ხარჯები

	31.12.2017	31.12.2016
ძირითადი საშუალებების ხარჯი	539 117	4 504

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11 913	(2 388)
სულ	551 030	2 117

19. მოგების გადასახადი

	31.12.2017	31.12.2016
მოგების მიმდინარე გადასახადი	699 507	3 253 180
სულ	699 507	3 253 180

20. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

21. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ

შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 31 დეკემბრის 2016 და 2017 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტოარადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსითსაანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2016 -2017 წლებში მოცემულია ქვემოთ:

დეკემბერი 31, 2017

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68 607	-	-	68 607
მიღებული ავანსები	1 167 247	-	-	1 167 247
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 235 854	-	-	1 235 854

დეკემბერი 31, 2016

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6 956 850	-	-	6 956 850
მიღებული ავანსები	5 823 227	-	-	5 823 227
სულ ფინანსური ვალდებულებები	12 780 077	-	-	12 780 077

იანვარი 01, 2016
(არაუადირებული)

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	360 391	-	-	360 391
მიღებული ავანსები	8 609 886	-	-	8 609 886
სულ ფინანსური ვალდებულებები	8 970 277	-	-	8 970 277

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

22. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითიგაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილიშეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ

	31.12.2017		31.12.2016		01.01.2016	
საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება

გადახდილი ავანსები	34 092	34 092	16 972 855	16 972 855	5 428 163	5 428 163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	272 777	272 777	8 901 883	8 901 883	798 555	798 555
ფული და ფულის ექვივალენტები	247 638	247 638	2 374 801	2 374 801	3 085 066	3 085 066
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	61 856	61 856	3 441 279	3 441 279	261 757	261 757
მიღებული ავანსები	1 167 247	1 167 247	5 823 227	5 823 227	8 609 886	8 609 886

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შედეგების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

მენეჯმენტის ანაზღაურება	31.12.2017	31.12.2016
ხელფასი	260 959	311 936
სულ	260 959	311 936

24. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

კომპანია ბოლო სამი წელია მოგებაზეა, თუმცა მენეჯმენტმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეაჩერა საქმიანობა და კაპიტალში არსებული თანხა დაუბრუნა სათაო ოფისს.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 28 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ თავ მშენებლობა საქართველომ მოახდინა მარაგებისა და ძირითადი საშუალებების სრული რეალიზაცია.

შპს თავ მშენებლობა საქართველოს
მმართველობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერის დასრულებული
წლისათვის და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

თავ მშენებლობა საქართველოს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ღრმა რწმენით წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სრულად შეესაბამება აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს და ასევე საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებსა და პრაქტიკას. იგი ადეკვატურად ასახავს კომპანიის მიმდინარე მდგომარეობას და ასევე მისი განვითარების პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებს.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა თურქეთის საქართველოს ფილიალის თავ მშენებლობა საქართველოს თანმხლები 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. თავ მშენებლობა საქართველოს მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“-მ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ზემოთ მოყვანილ კანონზე დაყრდნობით საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ

ანგარიშგებას და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად.

გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“

25 სექტემბერი, 2018 წელი

ანგარიშგებას და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე



25 სექტემბერი, 2018 წელი

**სს თავ თეპე აქფენ იათირიმ
ინშათ ვე იშლეთმე**

**საქმიანობის აღწერილობა
- 2017**

მიმოხილვა

კომპანიის საფირმო სახელწოდება : სს თავ თეპე აქფენ იათირიმ ინშაათ ვე იშლეთმე (თავ მშენებლობა - კომპანია)
 სავაჭრო რეესტრის ნომერი : 507311
 სათაო ოფისის მისამართი : ათათურქის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალი (გასასვლელი „A“ VIP), იეშილქოი, სტამბული
 ტელ : 0 212 463 30 00
 ფაქსი : 0 212 465 79 31
 ვებ-გვერდი : www.tavconstruction.com

ინვესტორებთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაციისთვის და დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი კომუნიკაციის შენარჩუნების მიზნით ჩვენი კომპანია იყენებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდს www.tavconstruction.com.

TAV Tepe Akfen Yatırım İnşaat ve İşletme A.Ş.-ს (თავ თეპე აქფენ იათირიმ ინშაათ ვე იშლეთმე) („კომპანია“) აქვს დაფუძნებული კომპანიის სტატუსი და არ არის საჯარო კომპანია.

2017 წელს ჯგუფში მომუშავე ანაზღაურებადი თანამშრომლების რაოდენობა შეადგენდა 3,131-ს და ქვე-კონტრაქტორების ჩათვლით დაქირავებული თანამშრომლების რაოდენობა 28,823-ია.

„თავ მშენებლობა“-ს აქვს ცხრა ფილიალი ეგვიპტეში, ქაიროში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში, აბუ-დაბიში, ყატარში, დოჰაში, ლიბიაში, ბაჰრეინში, საქართველოში და საუდის არაბეთში, ჯადარში და საფრანგეთში, ოთხი აფილირებული კომპანია, კერძოდ, „თავ პარკ ოთოპარკ იათირიმ ვე იშლეთმელერი ანონიმ შირქეთი“, შპს „თავ მშენებლობა“ მასქათ, შპს „თავ მშენებლობა ყატარი“ და „თავ-ალრაჯი სამშენებლო კომპანია“ და ორი ჩვეულებრივი პარტნიორობა, კერძოდ ერთობლივად კონტროლირებული საწარმო „თავ სერა“ და ერთობლივად კონტროლირებული საწარმო „თავ სერა ლიბადი“.

მიმოხილვა (გაგრძელება)

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ:

სახელწოდება	ფილიალის მისამართი	ტელეფონი
დუბაის ფილიალი „თავ გალფი“	საუს თაუერ S-1906, სართ. 19 ემირატების ფინანსური კოშკები დუბაის სარეგულაციო საფინანსო ცენტრი საფოსტო ყუთი 181900, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები	+971 43594445
დოჰას ფილიალი „თავ დოჰა“	C-შემოვლითი გზა, ალ-ემადის ბიზნეს ცენტრი ნომ: 25, საფოსტო ყუთი: 82484 დოჰა, ყატარის ცენტრი	+974 44660553
ქაიროს ფილიალი „თავ ეგვიპტე“	ქაიროს საერთაშორისო აეროპორტი, TB3 სამშენებლო საპროექტო ოფისები საფოსტო ყუთი: 11776-24, ქაირო, ეგვიპტე	+20 1228899753
ლიბიის ფილიალი „თავ ლიბია“	საფოსტო ყუთი: 5165 ტრაბლუსი - ლიბია	+218 914378065
ბაჰრეინის ფილიალი „თავ ბაჰრეინი“	გზა 1705, ბლოკი 317, შენობა 440, ბინა 51. ქალაქი/სოფელი მანამა / დიჰლ. ტერიტორია ბაჰრეინის სამეფო	+973 17490090
საქართველოს ფილიალი „თავ საქართველო“	აეროპორტი, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო	+995 577998802
საუდის არაბეთის ფილიალი „თავ საუდის არაბეთი“	საფოსტო ყუთი: 8101 ჯედარი / KSA	+966 122061281
აბუ დაბის ფილიალი „თავ აბუ დაბი“	აღმ. შემოვლითი გზა, ხალიფას პარკი, შენობა ნომ: 848, ოფისი #506, საფოსტო ყუთი: 63312, აბუ-დაბი, არაბთა გაერთიანებული საემიროები	+971 24413171
საფრანგეთის ფილიალი „თავ საფრანგეთი“	ბათი 3320 ზონა დე ფრეტ 4 - როისიტეკის პლატფორმა აეროპორტი CDG საფრანგეთი 95707 როისი შარლ-დე გოლი CEDEX	
„თავ მშენებლობის“ ფილიალები		

„თავ მშენებლობის“ ფილიალები:**დუბაის ფილიალი („თავ გალფი“)**

„თავ გალფის“ საქმიანობის ძირითადი სფეროა მშენებლობა და კერძო სახლების მშენებლობა. ამ საქმიანობის გარდა, სხვა მომსახურება, როგორცაა ელექტრო და მექანიკური სამუშაოები სამშენებლო პროექტებისთვის დუბაიში და შარჟაში. 2008 წლის დეკემბრამდე, სამშენებლო სექტორმა სწრაფი ზრდა განიცადა მეგა პროექტებში, ქალაქთმშენებლობის პროექტებში და ინფრასტრუქტურულ პროექტებში და გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, კომპანიის საქმიანობა შემცირდა. თუმცა დღეისთვის რეგიონმა კრიზისის ზემოქმედება დასძლია და სამშენებლო სექტორში ისევ წარმოჩინდა. 2013 წელს კომპანიის ინვესტიციებს რეგიონში დაემატა „პარამაუნთის“ პროექტის „დამაკ თაუერი“ და მას ორი პროექტი აქვს, მათ შორის „მარინას 101 სასტუმროს და რეზიდენციების“ პროექტი. კომპანიის მიზანია რეგიონში ინვესტიციების გაზრდა, სამშენებლო სექტორში მზარდი მიმართულებების გამოყენებით.

მიმოხილვა (გაგრძელება)

დოჰას ფილიალი (“თავ დოჰა”)

ყატარის საემირო ბუნებრივი გაზის აქტივების მსოფლიოში მე-2 უდიდესი მწარმოებელია რუსეთის შემდეგ. კერძოდ, ნავთობის და ბუნებრივი აირის ფასების ზრდამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის შემოსავლები. შემოსავლების ეს ზრდა მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მთავრობის მიერ რამდენიმე მსხვილი სამშენებლო პროექტის ინიცირებისთვის. მეორეს მხრივ, დუბაიში ინვესტირება რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის მაგალითად იქცა. ყატარის საემირო არის ქვეყანა, რომელმაც ეს მოდელი რეგიონში ყველაზე სწრაფად განავითარა. ჩვენი ქვეყნის მიერ იაპონიის ბიზნეს პარტნიორთან ერთად განხორციელებული პროექტი ქვეყნის ყველაზე დიდი სამშენებლო პროექტია.

„თავ დოჰა“-მ და „თაისეი ქორფორეიშენ“-მა ჩამოაყალიბეს საპარტნიორო სუბიექტი ერთობლივი მენეჯმენტით, სახელწოდებით ერთობლივი საწარმო „სქაი ორიქს“, ჰამადის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის მიზნით. პარტნიორობის მხარეები - „კომპანია“ და „თაისეი ქორფორეიშენ“ ფლობენ 35% და 65%-იან წილებს, შესაბამისად.

2013 წელს, „თავ მშენებლობა“-მ ასევე გააფორმა ახალი ერთობლივი საწარმოს ხელშეკრულება „თაისეი ქორფორეიშენ“-თან, 70%-იანი წილობრივი მონაწილეობით, ჰამადის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთა ტერმინალის კომპლექსის ოპერირებისთვის.

ჰამადის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთა ტერმინალმა ოპერირება 2014 წლის 30 აპრილს დაიწყო.

ქაიროს ფილიალი (“თავ ეგვიპტე”)

„თავ ეგვიპტე“ დაფუძნდა როგორც ფილიალი ეგვიპტეში, ქაიროს აეროპორტის მე-3 ტერმინალის სამშენებლო პროექტისთვის, ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც გაფორმდა „აეროპორტების და საავიაციო ნავიგაციის ჰოლდინგურ კომპანიასთან“.

2004 წლის 15 აპრილს, „თავ ეგვიპტე“-მ დააფუძნა საპარტნიორო სუბიექტი სახელწოდებით „ერთობლივი საწარმო თავ - ჰოლდინგური კომპანია“, ქაიროს აეროპორტის მე-3 ტერმინალის შენობის მშენებლობის ერთობლივად მართვის მიზნით, „გზების, ხიდების და სახმელეთო ტრანსპორტირების ჰოლდინგურ კომპანიასთან“ ერთად, რომელიც არის ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის საჯარო კომპანია. ერთობლივი მართვისას „კომპანიის“ და „გზების, ხიდების და სახმელეთო ტრანსპორტირების ჰოლდინგურ კომპანიის“ წილები შეადგენდა 80%-ს და 20%-ს, შესაბამისად. პროექტი დასრულდა 2009 წელს და დამკვეთმა მიღება-ჩაბარებას მოაწერა ხელი 2009 წლის 4 მაისს. პროექტის საბოლოო ჩაბარება მოხდა 2012 წელს. „არაბული გაზაფხულის“ ზემოქმედების შედეგად, რეგიონში მოსალოდნელია განმეორებითი სტაბილურობა რამდენიმე ინვესტიციაში.

ლიბიის ფილიალი (“თავ ლიბია”)

ფილიალი დაფუძნდა ტრიპოლის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის განხორციელების მიზნით. პროექტში კომპანიის საპარტნიორო წილი შეადგენდა 25%-ს და პარტნიორები არიან ბრაზილიაში დაფუძნებული „ოდებრეტ კო“ და საბერძნეთში დაფუძნებული „CCC კო“. ეს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტია და ამას მოჰყვა „კომპანიის“ პროექტები ლიბიაში და ქვეყნის ყველაზე დიდ საინვესტიციო პროექტად იქცა.

რეჟიმის ცვლილების გამო, „არაბული გაზაფხულის“ გავლენით, რომელიც 2010 წლის 31 დეკემბერს დაიწყო, პროექტი შეჩერდა ამ ცვლილების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა, რომ ლიბიაში დაიწყებოდა ოპერაციები, როდესაც სამუშაო პირობები ლიბიაში მიაღწევდა იმ დონეს, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს რეგულარული ოპერაციები, რეგიონში პოლიტიკური არასტაბილურობის გაზრდის გამო, წამოიწყეს სასამართლო პროცედურები კომპანიის მიერ ახალი ტრიპოლის აეროპორტის და ტერმინალის შენობებთან და ახალი საბჰას საერთაშორისო აეროპორტის პროექტების გამო მისაღებ თანხებთან დაკავშირებით და მოითხოვეს ზიანის ანაზღაურება.

მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაჰრეინის ფილიალი (“თავ ბაჰრეინი”)

„თავ ბაჰრეინი“ დაფუძნდა როგორც ფილიალი ბაჰრეინში, 2007 წლის 26 სექტემბერს რეგიონში პოტენციური საპროექტო შესაძლებლობებისთვის. 2015 წლის 1 სექტემბერს „თავ მშენებლობამ“ ხელი მოაწერა ერთობლივი ოპერირების ხელშეკრულებას მის პარტნიორთან შპს „არაბტეკ მშენებლობა“-სთან, სახელწოდებით „არაბტეკ - თავ ერთობლივი ოპერირება“, რათა შეესრულებინა ძირითადი სამუშაოების პროექტირების, მიწოდების და მონტაჟის კონტრაქტი აეროპორტის მოდერნიზაციის პროგრამისთვის ბაჰრეინის საერთაშორისო აეროპორტში. ერთობლივი ოპერირების პარტნიორების „თავ“-ის და „არაბტეკის“ წილობრივი მონაწილეობა „ერთობლივი ოპერირებისთვის“ შეადგენს 50%-ს და 50%-ს, შესაბამისად. კონტრაქტი გაფორმდა „არაბტეკ - თავ ერთობლივი ოპერირება“-სთან ბაჰრეინის საერთაშორისო აეროპორტის მოდერნიზებისთვის 2016 წლის 14 ივნისს.

საქართველოს ფილიალი (“თავ საქართველო”)

„თავ საქართველო“ დაფუძნდა 2012 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის და ასაფრენი ბილიკის მშენებლობის მიზნით და კონტრაქტი გაფორმდა პროექტის დამკვეთს შპს „ტავ ურბან საქართველოს“ და „თავ მშენებლობას“ შორის 2015 წლის 8 ოქტომბერს.

საუდის არაბეთის ფილიალი (“თავ საუდის არაბეთი”)

„თავ საუდის არაბეთი“ დაფუძნდა 2012 წლის 14 მარტს, როგორც ფილიალი, საუდის არაბეთში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით.

2012 წლის 17 ივნისს, „თავ მშენებლობა“-მ, მის პარტნიორ შპს „ალ-არაბ სამშენებლო კომპანია“-სთან ერთად, სახელწოდებით „ერთობლივი საწარმო MAJV“, გააფორმა ხელშეკრულება ყველა ობიექტის და ახალი ტერმინალის შენობის და გზების საპროექტო, საინჟინრო, შესყიდვების და სამშენებლო პროექტზე, საინჟინრო, შესყიდვების და სამშენებლო ხელშეკრულების („EPC“) შესაბამისად, მედინას აეროპორტის პროექტისთვის, რომელიც უნდა გაფორმებულიყო „TIBAH“-თან (შემსყიდველი). „თავ“-ისა და „ACC“-ის საპარტნიორო წილის განაწილება ერთობლივ საწარმოში შეადგენს 70%-ს და 30%-ს. პროექტი დასრულდა 2012 წლის ივნისში.

კონსორციუმმა „TIBAH“, რომლის შემადგენლობაში შედიან: „თავ ჰავალიმანლარი ჰოლდინგ ა.შ.“, „ალ-რაჯი ჰოლდინგი“ და „საუდი ოგერ ლიმიტედ“, 2011 წლის 29 ოქტომბერს გააფორმა მშენებლობის, ოპერირების და გადაცემის (BOD) ხელშეკრულება სამოქალაქო ავიაციის ორგანოსგან, რომელიც ახორციელებს „პრინც მუჰამედ ბინ აბდულ-აზიზის აეროპორტის“ ოპერირებას, გაფართოებას, რეაბილიტაციას და მოდერნიზაციას, საუდის არაბეთის სამეფოში.

„თავ მშენებლობა“-მ დააფუძნა საპარტნიორო სუბიექტი ერთობლივი მმართველობით, სახელწოდებით „ერთობლივი საწარმო თავ - ალ რაჯი-ალ ჰაბთოორ ლეიტონი“, თავის პარტნიორებთან „ალ რაჯი ჰოლდინგ გრუპთან“ და შპს „ალჰაბთოორ ლეიტონი“-სთან ერთად, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების აეროდრომების და მასთან დაკავშირებული ობიექტების პროექტირების და მშენებლობის მიზნით ჯადაში. ერთობლივ საწარმოში „თავ მშენებლობა“-ის, „ალ-რაჯის“ და „ალ ჰაბთოორ ACC“-ის წილობრივი მონაწილეობაა: 40%, 40% და 20%, შესაბამისად. ერთობლივმა საწარმომ „თავ - ალ რაჯი - ალ ჰაბთოორ ლეიტონმა“ კონტრაქტი გააფორმა საუდის არაბეთის საავიაციო ინჟინერიის მრეწველობის, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების, აეროდრომების რემონტის პროექტისთვის 2012 წლის 15 აპრილს. პროექტი დაიწყო 2012 წლის დეკემბერში.

2013 წლის 13 მაისს ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ კომპანიამ კონტრაქტი გააფორმა „ელ-რიადის მეფის ხალედის საერთაშორისო აეროპორტის“ მე-5 ტერმინალის პროექტირებაზე და მშენებლობაზე. „თავ მშენებლობა“-მ დააფუძნა პარტნიორობა ერთობლივი მმართველობით, სახელწოდებით „ერთობლივი საწარმო T5“, თავის პარტნიორთან „ალ არაბ სამშენებლო კომპანია CJSC“-სთან ერთად, რომლის მიზანიც იყო „ელ-რიადის მეფის ხალედის საერთაშორისო აეროპორტის“ მე-5 ტერმინალის პროექტირება და მშენებლობა. ერთობლივ საწარმოში „თავ მშენებლობა“-ის და „ალ არაბ სამშენებლო კომპანიის CJSC“-ის წილობრივი მონაწილეობაა 50% და 50%. „ელ-რიადის მეფის ხალედის საერთაშორისო აეროპორტის“ მე-5 ტერმინალის შესახებ საუდის არაბეთის სამეფოს სამოქალაქო ავიაციის სამსახურსა და T5-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პროექტი დაიწყო 2013 წლის ივლისში.

მიმოხილვა (გაგრძელება)

თავ მშენებლობის ფილიალები (გაგრძელება)

საუდის არაბეთის ფილიალი (“თავ საუდის არაბეთი”) (გაგრძელება)

„თავ მშენებლობა“-მ დააფუძნა საპარტნიორო სუბიექტი ერთობლივი მენეჯმენტით, სახელწოდებით „ერთობლივი საწარმო SACB“, თავის პარტნიორთან „ალ-არაბ სამშენებლო კომპანია CJSC“-სთან ერთად, მედინას პრინც მუჰამედ ბინ აბდულ-აზიზის საერთაშორისო აეროპორტის საკვები ობიექტის მშენებლობისთვის. „თავ მშენებლობა“-ს და „ალ-არაბ სამშენებლო კომპანია CJSC“-ის საპარტნიორო წილი ერთობლივ საწარმოში შეადგენს 70% და 30%-ს. „ერთობლივმა საწარმომ SACB“ გააფორმა ხელშეკრულება საუდის არაბეთის ავიახაზების კვების კომპანიასთან 2014 წლის 17 აგვისტოს მედინას პრინც მუჰამედ ბინ აბდულ-აზიზის საერთაშორისო აეროპორტის საკვები ობიექტის მშენებლობისთვის.

„თავ მშენებლობა“-მ დააფუძნა საპარტნიორო სუბიექტი ერთობლივი მენეჯმენტით, სახელწოდებით „ერთობლივი საწარმო ალ-არაბ სამშენებლო კომპანია JSC“, მედინას პრინც მუჰამედ ბინ აბდულ-აზიზის საერთაშორისო აეროპორტის ახალი სასტუმროს მშენებლობის მიზნით. „თავ მშენებლობა“-ის და „ალ-არაბ სამშენებლო კომპანია CJSC“-ის საპარტნიორო წილი შეადგენს 70%-ს და 30%-ს. „ერთობლივმა საწარმომ SACB“, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მედინას აეროპორტის სასტუმროს კომპანიასთან 2014 წლის 10 დეკემბერს მედინას პრინც მუჰამედ ბინ აბდულ-აზიზის საერთაშორისო აეროპორტის ახალი სასტუმროს მშენებლობის მიზნით.

აბუ-დაბის ფილიალი (“თავ აბუ-დაბი”)

„თავ აბუ-დაბი“ დაფუძნდა 2010 წლის 13 მარტს, როგორც აბუ-დაბის ფილიალი. 2010 წლის 4 თებერვალს კომპანიამ თავის პარტნიორთან „კონსოლიდირებული საკონტრაქტო ინჟინერია და შესყიდვები SAL“-თან ერთად გააფორმა ხელშეკრულება და ჩამოაყალიბა „ერთობლივი საწარმო თავ-CCC“, აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტის მმართველ კომიტეტთან ერთად, რომელიც პასუხისმგებელი იყო გაფართოებაზე, აბუ-დაბის ტერმინალის ფუნდამენტის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების პროექტის პარგლებში. „თავ“-ისა და „CCC“-ს საპარტნიორო წილი ერთობლივ საწარმოში შეადგენს 50% და 50%-ს. ერთობლივმა საწარმომ „თავ-CCC“ გააფორმა კონტრაქტი აბუ-დაბის ტერმინალის შენობის ფუნდამენტის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების პროექტზე 2011 წლის 23 იანვარს. ეს პროექტი დასრულდა და მიღება-ჩაბარება გაფორმდა 2012 წლის 9 იანვარს.

„კომპანია“ და მისი პარტნიორები, კერძოდ „კონსოლიდირებული საკონტრაქტო ინჟინერია და შესყიდვები SAL“ და შპს „არაბტეკ მშენებლობა“-მ დააფუძნეს საპარტნიორო სუბიექტი ერთობლივი მენეჯმენტით, სახელწოდებით „ერთობლივი საწარმო თავ-CCC - არაბტეკ“, აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტში ცენტრალური ტერმინალის შენობის მშენებლობის მიზნით. მხარეების წილები ერთობლივი მენეჯმენტის მქონე საპარტნიორო სუბიექტში შეადგენს 1/3-ს თითოეული პარტნიორისთვის. „კომპანია“ არის წამყვანი ერთობლივ საწარმოში. აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტის ცენტრალური ტერმინალის შენობის შესახებ კონტრაქტი გაფორმდა ერთი მხრივ „აბუ-დაბის აეროპორტების კომპანია PJSC“-ს (ADAC - შემსყიდველი) და „კომპანიას“ და მეორეს მხრივ „კონსოლიდირებული საკონტრაქტო ინჟინერია და შესყიდვები SAL“-ს შორის, 2012 წლის 27 ივნისს.

საფრანგეთის ფილიალი (“თავ საფრანგეთი”)

„თავ საფრანგეთი“ დაფუძნდა 2015 წლის 5 მაისს, როგორც პარიზის ფილიალი. „თავ მშენებლობა“-მ და მისმა პარტნიორმა „ჰერვე სა“-მ დააფუძნეს საპარტნიორო სუბიექტი. 2015 წელსვე ჩამოაყალიბეს საპარტნიორო სუბიექტი ერთობლივი მენეჯმენტით, სახელწოდებით „გრუპემენტ დ'ენტრეპრიეს თავ - ჰერვე“ („ერთობლივი საწარმო თავ - ჰერვე“) ADP-ს სათაო ოფისის და სოციალური ობიექტების მშენებლობის მიზნით, რომელიც უნდა აშენებულიყო პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტში. „თავ მშენებლობის“ და „ჰერვე სა“-ს საპარტნიორო წილი ერთობლივ საწარმოში არის 50% და 50%.

ADP-ს სათაო ოფისის და სოციალური ობიექტების მშენებლობის კონტრაქტს ხელი მოეწერა შემსყიდველ მხარეს, პარიზის აეროპორტსა და „ჰერვე სა“-ს შორის 2015 წლის 27 თებერვალს.

მიმოხილვა (გაგრძელება)

ინფორმაცია ერთობლივი მენეჯმენტის მქონე კომპანიის პარტნიორობების შესახებ:
საწარმოს სახელწოდება

ოპერირების
ქვეყანა

საკუთრების
წილი (%)

ხმების
რაოდ. (%)

ძირითადი
საქმიანობა

ერთობლივი საწარმო სქაი ოქს	დოჰა	35.00	35.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო FM	დოჰა	70.00	70.00	ობიექტების მენეჯმენტი
ერთობლივი საწარმო თავ-CCC	აბუ-დაბი	50.00	50.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო თავ-CCC-არაბტეკ	აბუ-დაბი	33.33	33.33	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო ODT	ლიბია	25.00	25.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო CCC-თავ	ომანი	50.00	50.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო MA	საუდის არაბეთი	70.00	70.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო TAL	საუდის არაბეთი	40.00	40.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო T5	საუდის არაბეთი	50.00	50.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო SACB	საუდის არაბეთი	70.00	70.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო MAHP	საუდის არაბეთი	70.00	70.00	მშენებლობა
ერთობლივად კონტროლირებული პირი თავ-სერა	თურქეთი	60.00	60.00	მშენებლობა
ერთობლივად კონტროლირებული პირი თავ-სერა ლიბადი	თურქეთი	60.00	60.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო თავ ჰერვე	საფრანგეთი	50.00	50.00	მშენებლობა
ერთობლივი საწარმო არაბტეკ-თავ	ბაჰრეინი	40.00	40.00	მშენებლობა

ინფორმაცია კომპანიის სუბსიდიების შესახებ:

აფილირებული პირის სახელი	ოპერირების ქვეყანა	საკუთრების წილი (%)	ხმების რაოდ (%)	ძირითადი საქმიანობა
შპს თავ მშენებლობა მუსკატი	მუსკატი	70.00	99.99	მშენებლობა
თავ პარკი	თურქეთი	100.00	100.00	მშენებლობა
შპს თავ მშენებლობა ყატარი	ყატარი	49.00	100.00	მშენებლობა
თავ ალრაჯი მშენებლობა კო.	საუდის არაბეთი	50.00	100.00	მშენებლობა

„თავ პარკ ოთოპარკ იათირიმ ვე იშლეთმელერი ა.შ.“ – („თავ პარკი“)

„თავ პარკი“ დაფუძნდა 2008 წლის აპრილში, როგორც თურქული კომპანია სტამბულში. იურიდიული მისამართი: ათათურქის აეროპორტის საერთაშორისო ტერმინალი, იეშილქოი, სტამბული, თურქეთი. „თავ პარკი“-ის ძირითადი საქმიანობაა პარკირების ლოტების მშენებლობა და ოპერირება. „თავ მშენებლობის“ საკუთრებაში არსებული წილი და ხმების რაოდენობა არის 100% (2016 წლის 31 დეკემბერი, 100%). „თავ პარკ ტუნის“-მა საქმიანობა 2009 წლის 21 დეკემბერს დაიწყო, როგორც „თავ პარკის“ ტუნისის ფილიალმა. 2012 წლის ივნისში დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფილიალის ლიკვიდაციის შესახებ.

მიმოხილვა (გაგრძელება)

ინფორმაციის კომპანიის სუბსიდიების შესახებ: (გაგრძელება)

შპს „თავ მშენებლობა მუსკატი“ – (“თავ მუსკატი”)

„კომპანია“ გახდა „თავ მუსკატი“-ს პარტნიორი 70% წილობრივი მონაწილეობით 2009 წლის 8 ივნისს. 2009 წლის 22 აგვისტოს „თავ მუსკატი“-მა და კონსოლიდირებულ კონტრაქტორთა კომპანიამ შპს „ომან“-მა შექმნეს პარტნიორობა სახელწოდებით „ერთობლივი საწარმო CCC-თავ“ მუსკატის საერთაშორისო აეროპორტის განვითარების პროექტის განხორციელების მიზნით, პაკეტი MC-1, ტრანსპორტის და კომუნიკაციების სამინისტროს ზოგადი უსაფრთხოების და ავიაციის გენერალურ დირექტორატთან ერთად, რომელიც წარმოადგენდა ომანის სასუთლოს. პარტნიორობაში, რომელსაც ერთობლივი მენეჯმენტი გააჩნია, მხარეთა წილობრივი მონაწილეობაა 50% და 50% „თავ მუსკატი“-ს და „CCC“-სთვის, შესაბამისად.

შპს „თავ მშენებლობა ყატარი“ – (“თავ ყატარი”)

„თავ ყატარი“-ს, რომელიც „კომპანიის“ პარტნიორი გახდა 49%-ით 2009 წლის 21 სექტემბერს, რეგიონში პოტენციური საპროექტო შესაძლებლობების გამოყენების მიზნით, ჯერ არ დაუწყია საქმიანობა.

„თავ - ალრაჯი მშენებლობა კო“ (“თავ - ალრაჯი”)

„თავ ალრაჯი“-ს რომელიც „კომპანიის“ პარტნიორი გახდა 2010 წლის 28 ივნისს 50%-ით, რეგიონში პოტენციური საპროექტო შესაძლებლობების გამოყენების მიზნით, ჯერ არ დაუწყია საქმიანობა.

ინფორმაცია „კომპანიის“ ჩვეულებრივი პარტნიორების შესახებ

ა. ერთობლივად კონტროლირებული პირი „თავ სერა“ (“თავ სერა”)

„თავ სერა“ დაფუძნდა 2013 წლის 5 ნოემბერს, როგორც ჩვეულებრივი პარტნიორობა ერთობლივი მენეჯმენტით, ემართის მოედნის პროექტის N1 და N2 შესრულების მიზნით, სეისმური რეგიონების ფუნდამენტის და პლატფორმის დამატებითი შავი სამუშაოების შესრულების მიზნით. პარტნიორობაში წილები განაწილებულია 60% და 40%-ის ოდენობით „თავ მშენებლობას“ და „სერა იაპი ენდუსტრიისი ა.შ.“-ს შორის.

ბ. ერთობლივად კონტროლირებული პირი „თავ-სერა ლიზადი“ (“თავ სერა ლიზადი”)

„თავ სერა ლიზადი“ დაფუძნდა 2014 წლის 10 ივლისს, როგორც ჩვეულებრივი პარტნიორობა ერთობლივი მენეჯმენტით, ემართის მოედნის პროექტის განხორციელების მიზნით, ჩრდილოეთის მონაკვეთის სამუშაოებისთვის / სავაჭრო ცენტრის და პარკინგის ლოტების მე-3 პაკეტის სამუშაოების შესასრულებლად. „თავ მშენებლობის“ და „სერა იაპი ენდუსტრიისი ა.შ.“-ს წილობრივი მონაწილეობაა 60% და 40%.

საქმიანობის სფერო

ჩვენი კომპანია ოპერირებს სამშენებლო და საკონტრაქტო სამუშაოების სფეროში. ჩვენ ვაშენებთ აეროპორტების ტერმინალებს, აეროდრომებს და ობიექტებს, სავაჭრო ცენტრებს, სამუშაო სივრცეებს, სასტუმროებს, გზებს, გვირაბებს და ვახორციელებთ სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ამავდროულად, ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს საავიაციო მომსახურებას, პარკინგის ლოტების ოპერირებას, საკონსულტაციო და ინსპექტირების მომსახურებას.

მიმდინარე პროექტები:

პროექტის სახელი	პროექტის ქვეყანა	კომპანიის წილი (%)	პროექტის ფასი (ათასი აშშ დოლარი)	პროექტის ფასი (კომპანიის წილი)
დუბაი - მარინა-101 სასტუმრო და რეზიდენციები	არაბთა გაერთიანებული საემიროები	%100	187.594	187.594
ლიბია-ტრიპოლის საერთაშორისო აეროპორტი	ლიბია	%25	2.133.500	533.400
ლიბია-ტრიპოლის საერთაშორისო აეროპორტი	ლიბია	%50	229.364	114.682
ომანის მუსკატის საერთაშორისო აეროპორტი	ომანი	%50	1.256.115	628.058
ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჯედაჰის მეფის აბდულარეზის საერთაშორისო აეროპორტი	საუდის არაბეთი	%40	807.869	323.147
SAEI საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების აეროდრომები				
აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტის ცენტრალური ტერმინალის კომპლექსი	არაბთა გაერთიანებული საემიროები	%33	3.306.215	1.102.072
ერ-რიადის მეფე ხალედის სახელობის აეროპორტი	საუდის არაბეთი	%50	430.958	215.479
ტერმინალი 5				
პარამაუნთის დამაკ თაუერსი	არაბთა გაერთიანებული საემიროები	%100	353.018	353.018
ADP-ს სათაო ოფისი და სოციალური ობიექტები	საფრანგეთი	%50	102.331	51.166
თბილისის აეროპორტის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები	თბილისი	%100	55.000	55.000
სტამბულის ათათურქის აეროპორტის გაფართოების პროექტი - 3	თურქეთი	%100	48.909	48.909
ემაარის მოედნის პაკეტი 3 - ჩრდილოეთ კოშკის, სავაჭრო ცენტრის და პარკინგის ლოტების სამუშაოები	თურქეთი	%60	427.504	256.502
ემაარის მოედნის ჩრდილოეთ რეგიონის სტრუქტურული სამუშაოები	თურქეთი	%60	69.785	41.871
ბაჰრეინის აეროპორტის მოდერნიზაციის პროექტი	ბაჰრეინი	%40	1.018.351	407.340
სულ			10.426.513	4.318.218

ომანის მუსკატის საერთაშორისო აეროპორტის პროექტი მოიცავს 646,611 მ² პანდუსის, 726,800 მ² აეროდრომის და 24,000 მ² შენობის და 2.426.234 მ² ასაფრენი ბილიკების და ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოებს.

აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტის ცენტრალური ტერმინალის კომპლექსი მოიცავს 27 მილიონი მგზავრის ტევადობის და 702,000 მ² ფართის ტერმინალის შენობის მშენებლობას.

SAEI-ს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების აეროდრომები ჯედაჰის მეფის აბდულაზისის სახელობის აეროპორტში მოიცავს 11 აეროდრომის და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების დამხმარე ნაგებობების და ადმინისტრაციული შენობის, დახურული პარკინგის, საჰაერო ხომალდების პარკირების ობიექტების სამშენებლო სამუშაოებს.

ელ-რიადის მეფის ხალედის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის მე-5 ტერმინალის პროექტი მოიცავს 106,000 მ² ფართის მგზავრთა ტერმინალის და მისი ტერიტორიების სამშენებლო სამუშაოებს.

საქმიანობის სფერო (გაგრძელება)

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალის შენობის დამატებითი სამუშაოები მოიცავს 10.180 მ² ფართის მშენებლობას ახალი ტერმინალის შენობაში და 26.000 მ² პარკინგის მშენებლობას, ასევე არსებული ტერმინალის შენობის გაუმჯობესების სამუშაოებს.

სტამბულის ათათურქის აეროპორტის გაფართოების პროექტი მოიცავს 27.000 მ² ფართის ტერმინალის და 17.000 მ² პარკირების ლოტის მშენებლობის სამუშაოებს.

ემარის მოედანი პაკეტი 3 - ჩრდილოეთ კოშკის, სავაჭრო ცენტრის და პარკირების ლოტის პროექტი მოიცავს ბეტონის სამუშაოებს (მხოლოდ კოშკი), მექანიკურ და ელექტრო ინსტალაციებს, ფასადს და გარემოს დაცვით სამუშაოებს კოშკზე, სავაჭრო ცენტრში და პარკირების ლოტზე, რომელიც აშენებულია სტამბულის მეტროსადგურ ლიზადიში.

ემარის მოედნის ჩრდილოეთ ნაწილის სტრუქტურული სამუშაოები მოიცავს ბეტონის სამშენებლო სამუშაოებს სავაჭრო ცენტრში და პარკირების ლოტზე, რომელიც აშენებულია სტამბულის მეტროსადგურ ლიზადიში.

„მარინა-101 სასტუმრო და რეზიდენციების“ პროექტი გულისხმობს 101 სართულიანი სასტუმროს და რეზიდენციების მშენებლობას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შენობა იქნება რეგიონში, 425 მეტრამდე სიმაღლით.

პარამაუნთის დამაკის კოშკების პროექტი შედგება 4 კოშკის მშენებლობისგან, თითოეული 52 სართულიანი და სიმაღლით 279 მეტრამდე, რომელიც განკუთვნილი იქნება სასტუმროს და რეზიდენციებისთვის.

მიმდინარეობს პარიზის აეროპორტის ჯგუფის სათაო ოფისის შენობის ქვეშ 68.215 მ² ფართის 3 საოფისე შენობის და სოციალური ობიექტების მშენებლობა.

ბაჰრეინის აეროპორტის მოდერნიზაციის პროექტი მოიცავს 220.000 მ² ტერმინალის მშენებლობას, 8.900 მ² ცენტრალური ენერგომომარაგების შენობის და 112.000 მ² რამდენიმე დონიანი პარკირების ლოტების მშენებლობას.

ჩვენი კომპანია „თავ პარკის“ მეშვეობით სამშენებლო სამუშაოების გარდა, აგრძელებს პარკირების ლოტების ოპერირების საქმიანობას.

„თავ პარკის“ სტრატეგიული მიზანი 2017 წლისთვის და შემდგომ პერიოდში არის დაბალბიუჯეტური ინვესტიციებით ზრდა, რისთვისაც გეგმავს განახორციელოს პარკირების ლოტების ოპერაციები ობიექტებზე, როგორცაა სავაჭრო ცენტრები, რეზიდენციები, საავადმყოფოები და ა.შ. სტრატეგიული მიზნების შესამისად, „თავ პარკმა“ 2017 წელს წამოიწყო ღია პარკირების ლოტის და შშმ პირების პარკირების ოპერაციები „ანკარის გიუვენ ჰასთანესი ა.შ.“-ში.

აეროპორტის მშენებლობის გარდა, ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას ტექნიკურ მომსახურებაში გამოცდილი გუნდით და სარემონტო სამუშაოებს, რომელსაც აქვს მსოფლიო მასშტაბით მომსახურების გაწევის გამოცდილება და ასევე უზრუნველყოფს საკონსულტაციო

მომსახურებას აეროპორტის ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელზეც მთელს მსოფლიოში მზარდი მოთხოვნილებაა.

ჩვენი მისია

მაღალხარისხიანი სამშენებლო პროექტების შესრულება ჩვენს ქვეყანაში და ოპერირების რეგიონებში, ჩვენი მომხმარებლებისთვის მარალი ხარისხის მიწოდება ამ პროექტების დასრულების გზით საერთაშორისო უმაღლესი ხარისხის სტანდარტების დაცვით, გარემოს დაცვის გათვალისწინებით და მისი მდგრადობის შენარჩუნებით.

ჩვენი ხედვა

ჩვენი მიზანია გავხდეთ მსოფლიოში წამყვანი კომპანია ჩვენს სფეროში, მაღალხარისხიანი პრესტიჟული სამშენებლო პროექტების განახორციელებით, კონკრეტულად აეროპორტების პროექტების.

კაპიტალის სტრუქტურა

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, ჩვენი საწესდებო კაპიტალი ქვეყანაში შეადგენს 135,000 თურქულ ლირას და სრულად არის გადახდილი. კომპანიის ყველა პარტნიორი იურიდიული პირია. ინფორმაცია პარტნიორების შესახებ:

სახელი / პარტნიორის სახელწოდება	პარტნიორების წილობრივი მონაწილეობა (%)	კაპიტალის საპარტნიორო წილი (TRY)
შპს თავ იათირიმ ჰოლდინგი	99,99999997 %	135.000
შპს თავ იშლეთმე ჰიზმეთლერი	0,00000001 %	--
შპს თავ ჰავაჯილიქ	0,00000001 %	-
შპს თავ ოხელ გუვენლიქ ჰიზმეთლერი	0,00000001 %	--
სულ	100,000000 %	135.000

კომპანიას აქვს დაფუძნებული კომპანიის სტატუსი და არ არის საჯარო. ჩვენი კომპანიის წილების უმრავლესობას 2007 წლიდან ფლობს შპს „თავ ჰოლდინგი“ 99.99%-იანი წილით.

ჩვეულებრივი წილები

ყველა წილი თანაბრად არის დაყოფილი ჩვენი კომპანიის დანარჩენ აქტივებთან შედარებით, გარდა პრივილეგირებული პარტნიორების (წილის მფლობელების) მონაწილეობისა სუბსიდიებში წილების კოეფიციენტებით.

ჩვეულებრივი წილების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ მოგების წილი რამდენიმეჯერ გამოცხადებისას და კომპანიის დირექტორთა საბჭოს კრებებზე აქვთ ერთი ხმის უფლება ერთ წილზე. კომპანიის წილებთან დაკავშირებული ყველა უფლება ეკუთვნის ჩვენს ჯგუფს, რომლებიც შეჩერებულია ამ წილების ხელახალ გამოშვებამდე.

კაპიტალი დაყოფილია 135,000 წილად, თითოეული 0,001 ათასი თურქული ლირის ღირებულების. წილების გაყიდვა, გადაცემა ან ვალდებულებით დატვირთვა, რომლებზეც გაცემულია წილის სერთიფიკატები და მათთვის მიკუთვნებული ხმის უფლების გამოყენება ექვემდებარება და შეზღუდულია კომპანიის სადამფუძნებლო წესდებით. კომპანიის სადამფუძნებლო წესდება იწახება კომპანიის სათაო ოფისში დახელმისაწვდომია შესამოწმებლად.

ორგანიზაციული სტრუქტურა

